

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №

2020 წლის ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56 - ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი - „ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

ტექნიკური რეგლამენტი - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის

წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ტექნიკური რეგლამენტი - „ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესი“ (შემდგომში - წესი) ადგენს ფიტოსანიტარიულ ზომებს და არეგულირებს საკარანტინო მავნე ორგანიზმის ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Frster) (შემდგომში - მავნე ორგანიზმი) წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს, ქვეყნის ტერიტორიაზე მისი შემოჭრისა და გავრცელების პრევენციის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სპეციფიური მცენარეები - დასარგავი მცენარეები, გარდა *Acer* spp., *Aesculus hippocastanum*, *Alnus* spp., *Betula* spp., *Carpinus* spp., *Citrus* spp., *Cornus* spp., *Corylus* spp., *Cotoneaster* spp., *Crataegus* spp., *Fagus* spp., *Lagerstroemia* spp., *Malus* spp., *Platanus* spp., *Populus* spp., *Prunus laurocerasus*, *Pyrus* spp., *Rosa* spp., *Salix* spp. and *Ulmus* spp.-ის თესლებისა, რომელთა ღეროს ან ფესვის ყელის დიამეტრი ყველაზე გამსხვილებულ ადგილას არის 1 სმ, ან მეტი;

ბ) დემარკაცია - დასნებოვნების და ბუფერული ზონების საზღვრების დადგენა სხვადასხვა ბარიერებით (სამოვარი, ტყე, გზა, მდინარე და სხვ) შემოღობვით ან გადახვნით და მავნე ორგანიზმის შესახებ ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით;

გ) დასნებოვნებული ზონა - ტერიტორია, სადაც დადგენილია მავნე ორგანიზმის არსებობა. ის მოიცავს ყველა მცენარეს, რომლებსაც გამოუვლინდათ მავნე ორგანიზმის მიერ გამოწვეული სიმპტომები და ყველა ეს მცენარე მიეკუთვნება ერთსა და იმავე დროს დარგულ პარტიას;

დ) ბუფერული ზონა - ტერიტორია, რომელიც სულ მცირე 2 კმ-ის რადიუსით დამორებულია დასნებოვნების ზონის საზღვრიდან;

ე) სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო;

ვ) ცენტრი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ;

ზ) სამსახური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“ განსაზღვრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

მუხლი 3. სპეციფიური მცენარეების იმპორტი (გარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა)

სპეციფიური მცენარეები შეიძლება იმპორტირებულ იქნეს სხვა ქვეყნებიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გარდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი:

ა) აკმაყოფილებენ ამ წესის დანართი N1-ის „იმპორტის სპეციფიური მოთხოვნები“ პირველ პუნქტში მოცემულ იმპორტის სპეციფიურ მოთხოვნებს;

ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მავნე ორგანიზმის არსებობაზე (დანართი N1-ის მე-2 პუნქტის შესაბამისად) შემოწმების შედეგად, მისთვის დამახასიათებელი ნიშნები არ იქნება გამოვლენილი.

მუხლი 4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმოებული სპეციფიური მცენარეების იმპორტი

1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმოებული სპეციფიური მცენარეები შესაძლებელია იმპორტირებული იქნეს, თუ:

ა) ისინი აკმაყოფილებენ ამ წესის დანართი N2-ით „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან სპეციფიური მცენარეების იმპორტი“ დაწესებულ სპეციალურ მოთხოვნებს;

ბ) ქვეყანაში იმპორტისას მათი შემოწმება მოხდა სამსახურის მიერ ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მავნე ორგანიზმის ნიშნები არ იქნა გამოვლენილი;

გ) სპეციფიური მცენარეების წარმოების ადგილი აღნიშნულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ უნიკალური სარეგისტრაციო ნომრით.

2. თუ სპეციფიური მცენარეების წარმოების ადგილის შემოწმებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო აღმოაჩენს მავნე ორგანიზმის არსებობას, ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირისათვის/ იმპორტიორი მხარისათვის.

მუხლი 5. სპეციფიური მცენარეების გადაადგილება

1. სპეციფიური მცენარეები, რომლებიც წარმოებულია დემარკირებულ ტერიტორიაზე ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია ქვეყანაში გადაადგილებულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ამ წესის დანართი N3-ის „სპეციფიური მცენარეების გადაადგილების პირობები“ პირველ პუნქტში მითითებული პირობები.

2. სპეციფიური მცენარეები, რომლებიც არ არის წარმოებული, მაგრამ შემოტანილია დემარკირებულ ტერიტორიაზე, დასაშვებია ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ამ წესის დანართი N3-ის მე-2 პუნქტში მითითებული პირობები.

3. სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული მცენარეები, რომლებზეც ცნობილია მავნე ორგანიზმის არსებობა, შეიძლება ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ამ წესის დანართი N3-ის მე-3 პუნქტში მითითებული პირობები.

მუხლი 6. მავნე ორგანიზმის გამოკვლევა და შეტყობინება

1. მავნე ორგანიზმის გამოვლენის მიზნით, სააგენტოს მიერ ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს გამოკვლევა კონკრეტულ ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმის არსებობის და მის მიერ მასპინძელი მცენარეების დასნებოვნების თაობაზე.

2. იმ ადგილას, სადაც ადრე მავნე ორგანიზმი არ იყო გავრცელებული, ან მიჩნეული იყო, რომ მავნე ორგანიზმი ლიკვიდირებულია, ან თუ დასნებოვნებული აღმოჩნდა იმ მცენარეთა სახეობები, რომლებიც ადრე არ იყვნენ ცნობილნი, როგორც მავნე ორგანიზმის მასპინძელი მცენარეები, აღნიშნულის თაობაზე ფიზიკურმა და/ან იურიდიულმა პირმა უნდა აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 7. ტერიტორიის დემარკაცია

1. თუ გამოკვლევით ან სხვა საშუალებებით დასტურდება ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმის არსებობა, ცენტრის ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების სამსახურის მიერ გაკეთებული სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ კონკრეტული ტერიტორიის დემარკაცია, რომელიც ამ წესის დანართი N4-ის, ნაწილი I-ის „დემარკირებული ტერიტორიის და მასზე გასატარებელი ზომების დადგენა“ შესაბამისად, უნდა შედგებოდეს დასნებოვნებული ზონისა და ბუფერული ზონისაგან.

2. ტერიტორიის დემარკაცია არ არის საჭირო, თუ დაკმაყოფილებულია ამ წესის დანართი N4-ის, ნაწილი II-ის „პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საჭირო არ არის ტერიტორიის დემარკაცია“ პირველ პუნქტში მითითებული პირობები.

3. დემარკირებულ ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ უნდა გატარდეს ამ წესის დანართი N4-ის, ნაწილი III-ში „დემარკირებულ ტერიტორიაზე გასატარებელი ზომები“ მითითებული ზომები.

დანართი N1

იმპორტის სპეციფიური მოთხოვნები

1. სხვა ქვეყნებში (გარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა) წარმოშობილი სპეციფიური მცენარეების იმპორტი დასაშვებია და ამ ქვეყანაში ცნობილია მავნე ორგანიზმის არსებობის თაობაზე, სპეციფიურ მცენარეებს თან უნდა ახლდეს

ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, რომლის შესაბამის პუნქტში - „დამატებითი დეკლარაცია“ მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სპეციფიური მცენარეები მთელი თავისი არსებობის განმავლობაში, იზრდებოდნენ მათი წარმოების ადგილას, რომელიც რეგისტრირებულია და შემოწმებულია მათი წარმოშობის ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ და მდებარეობს მავნე ორგანიზმისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე. მავნე ორგანიზმისაგან თავისუფალი ტერიტორიის სახელწოდება უნდა მიეთითოს შესაბამის პუნქტში „წარმოშობის ადგილი“ ;

ბ) სპეციფიური მცენარეები ექსპორტის განხორციელებამდე, ორი წლის განმავლობაში იზრდებოდნენ წარმოების ადგილზე, ან ორ წელზე ნაკლები ასაკის სპეციფიური მცენარეები, ამავე დროის განმავლობაში იზრდებოდნენ ტერიტორიაზე, რომელიც ფიტოსანიტარული ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც მავნე ორგანიზმისგან თავისუფალი, რომლებიც:

ბ.ა) რეგისტრირებული და შემოწმებულია მათი წარმოშობის ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ;

ბ.ბ) ყოველწლიურად შემოწმდა, წლის შესაბამის პერიოდში, სულ მცირე ორჯერ, მავნე ორგანიზმის ან მისი არსებობის ნიშნების გამოვლენის მიზნით;

ბ.გ) გაიზარდნენ იმ ადგილას სადაც:

ბ.გ.ა) ყველა პირობა იყო შექმნილი მავნე ორგანიზმის ფიზიკური შემოჭრისგან დასაცავად;

ბ.გ.ბ) განხორციელდა, შესაბამისი პროფილაქტიკური დამუშავება ბუფერული ზონის არნაკლებ 2 კმ-ის რადიუსში წლის შესაბამის პერიოდში, ჩატარდა შემოწმება მავნე ორგანიზმის ან მისი არსებობის ნიშნების გამოსავლენად. მავნე ორგანიზმის არსებობის ნიშნების გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ გატარდა ზომები მის სალიკვიდაციოდ, მავნე ორგანიზმისგან თავისუფალი ბუფერული ზონის აღსადგენად;

ბ.დ) მცენარეთა ტვირთი ექსპორტამდე დაუყოვნებლივ დაექვემდებარა მავნე ორგანიზმის არსებობაზე, კერძოდ მცენარეთა ფესვებსა და ღეროებზე მიზანმიმართულ შემოწმებას, დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების ჩათვლით.

გამოსაკვლევ ნიმუშის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს დასნებოვნების ზუსტი გამოვლენის შესაძლებლობას,

გ) მცენარეები გაიზარდნენ საძირებიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დანართის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და დამყნობილ იქნენ სანამყენეზე, რომელიც აკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) ექსპორტის დროისათვის ნამყენის ნაზარდის ყველაზე გამსხვილებული ადგილი იყო არაუმეტეს 1 სმ დიამეტრის;

გ.ბ) ნამყენი მცენარეები შემოწმდნენ ამ დანართის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. ამ დანართის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, იმპორტირებული სპეციფიური მცენარეები ზედმიწევნით უნდა შემოწმდნენ სასაზღვრო-ინსპექციის პუნქტში შესვლის ადგილას ან დანიშნულების ადგილამდე ამ წესის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. გამოყენებული შემოწმების მეთოდები უზრუნველყოფენ მცენარეთა ფესვებსა და ღეროებში მავნე ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის გამოვლენას. ეს მიზანმიმართული შემოწმება უნდა მოიცავდეს მერქნიდან ნიმუშის აღებას დესტრუქციული მეთოდით. გამოსაკვლევ ნიმუშის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს დასნებოვნების ზუსტი გამოვლენის შესაძლებლობას.

დანართი N2

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან სპეციფიური მცენარეების იმპორტი

1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმოებულ სპეციფიურ მცენარეებს თან უნდა ახლდეს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, რომლის შესაბამის პუნქტში „დამატებითი დეკლარაცია“, მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია, :

ა) სპეციფიური მცენარეები, მთელი მათი არსებობის მანძილზე იზარდებოდნენ წარმოების ადგილას, რომელიც რეგისტრირებული და შემოწმებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ და მდებარეობს მავნე ორგანიზმისაგან თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც ფიტოსანიტარული ღონისძიებების საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად, ამავე ორგანოს მიერ განსაზღვრულია, როგორც მავნე ორგანიზმისგან თავისუფალი ტერიტორია. მავნე ორგანიზმისაგან თავისუფალი ტერიტორიის სახელწოდება მითითებული უნდა იყოს ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის შესაბამის პუნქტში „წარმოშობის ადგილი“;

ბ) სპეციფიური მცენარეები, ექსპორტამდე სულ მცირე ორი წლის განმავლობაში, ან ორი წელზე ნაკლები ასაკის სპეციფიური მცენარეები თავისი არსებობის მანძილზე, იზრდებოდნენ წარმოების ადგილზე, რომელიც ფიტოსანიტარიული ღონისძიებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დადგენილია, როგორც მავნე ორგანიზმისაგან თავისუფალი:

ბ.ა) რომელიც, რეგისტრირებული და შემოწმებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ;

ბ.ბ) რომელიც, ყოველწლიურად, სულ მცირე ორჯერ, შესაბამის პერიოდში, ოფიციალურად იქნა შემოწმებული მავნე ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის არსებობაზე და მავნე ორგანიზმის არსებობის არანაირი ნიშნები არ იქნა გამოვლენილი;

ბ.გ) მცენარეები გაიზარდნენ:

ბ.გ.ა) მავნე ორგანიზმის ინტროდუქციისაგან ფიზიკურად სრულად დაცულ ადგილზე;

ბ.გ.ბ) პროფილაქტიკურად შესაბამისად დამუშავებულ და სულ მცირე 2 კმ რადიუსით გარშემორტყმულ ბუფერულ ზონაში, სადაც ყოველწლიურად, სათანადო პერიოდში, ტარდება ოფიციალური გამოკვლევა მავნე ორგანიზმის ან მისი ნიშნების არსებობაზე. მავნე ორგანიზმის ნიშნების აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ გატარდა ზომები მისი განადგურების მიზნით, მავნე ორგანიზმისგან თავისუფალი ბუფერული ზონის აღსადგენად;

ბ.გ.გ) მცენარეთა ტვირთის ყოველი პარტია, ექსპორტამდე დაუყოვნებლივ დაექვემდებარა მავნე ორგანიზმის არსებობაზე ზედმიწევნით შემოწმებას, მცენარეთა ფესვებიდან და ღეროებიდან მიზნობრივი, დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების ჩათვლით. გამოსაკვლევი ნიმუშის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს დასწებოვნების ზუსტი გამოვლენის შესაძლებლობას;

გ) მცენარეები გაიზარდნენ საძირეებიდან, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ამ დანართის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და დამყნობილი იყვნენ სანამყენებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

გ.ა) ექსპორტისას, სანამყენების დიამეტრი მის ყველაზე მსხვილ წერტილში არ აღემატებოდა 1 სმ-ს;

გ.ბ) ნამყენი მცენარეები შემოწმდა ამ დანართის პირველი პუნქტის „ბ.გ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) მითითებულია წარმოების ადგილის სარეგისტრაციო ნომერი.

2. ამ დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად იმპორტირებული სპეციფიური მცენარეები უნდა შემოწმდეს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შესვლის ადგილზე, ან დანიშნულების ადგილზე, ამ წესის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. გამოყენებული შემოწმების მეთოდმა უნდა უზრუნველყოს მცენარეთა ფესვებსა და ღეროებში მავნე ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის გამოვლენა. ეს მიზანმიმართული შემოწმება უნდა მოიცავდეს მერქნიდან ნიმუშის აღებას დესტრუქციული მეთოდით. გამოსაკვლევი ნიმუშის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს დასნებოვნების ზუსტი გამოვლენის შესაძლებლობას. დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღება უნდა ჩატარდეს ქვემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად:

პარტიაში მცენარეთა რაოდენობა	დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების დონე (მოსაჭრელი მცენარეების რაოდენობა)
1- 4 500	პარტიის ზომის 10%
>4 500	450

დანართი N3

სპეციფიური მცენარეების გადაადგილების პირობები

1. დემარკირებულ ზონაში მოყვანილი სპეციფიური მცენარეები შეიძლება იმპორტირებული იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ თან ახლავს მცენარის პასპორტი და გადაადგილებამდე, სულ მცირე ორი წლის განმავლობაში, იზრდებოდნენ მავნე ორგანიზმისაგან დაცულ ზონაში, ან ორ წელზე ნაკლები ასაკის მცენარეები იზრდებოდნენ წარმოების ადგილზე, რომლებიც:

ა) რეგისტრირებულნი არიან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში;

ბ) ყოველწლიურად ექვემდებარებოდნენ სულ მცირე ორ შემოწმებას, განსაზღვრულ პერიოდში მავნე ორგანიზმის ნებისმიერი ნიშნის არსებობაზე და მათში მავნე ორგანიზმის ნიშნები არ იქნა ნაპოვნი; საჭიროების შემთხვევაში, ეს შემოწმება უნდა შეიცავდეს მცენარეთა ფესვებიდან და ღეროებიდან მიზანმიმართულ ნიმუშის აღებას დესტრუქციული მეთოდით. გამოსაკვლევი ნიმუშის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს დასნებოვნების ზუსტი გამოვლენის შესაძლებლობას;

გ) მდებარეობდნენ სადემარკაციო ზონაში, სადაც მცენარეები გაიზარდნენ:

გ.ა) მავნე ორგანიზმის ინტროდუქციისაგან ფიზიკურად დაცულ ადგილზე;

გ.ბ) სათანადო პროფილაქტიკური დამუშავების გამოყენების, ან გადაადგილების წინ, სპეციფიური მცენარეების ყოველი პარტიიდან ნიმუშის აღება განხორციელდა დესტრუქციული მეთოდით ამ წესის დანართი N2-ის მე-2 პუნქტში მოცემული ცხრილის შესაბამისად, სადაც ყოველწლიურად, სულ მცირე 1 კმ რადიუსში, სათანადო დროს ჩატარდა გამოკვლევა მავნე ორგანიზმის ან მისი ნიშნების არსებობაზე და ისინი ვერ იქნა აღმოჩენილი.;

გ.გ) საძირე, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის მოთხოვნებს, შეიძლება დაიმყნოს სანამყენეზე, რომელიც არ გაზრდილა ამ პირობებში მაგრამ მისი ყველაზე მსხვილი წერტილის დიამეტრი არის 1 სმ.

2. სპეციფიური მცენარეები, რომლებიც არ არიან წარმოშობილი სადემარკაციო ზონაში, მაგრამ შემოტანილია ამავე სადემარკაციო ზონაში მდებარე წარმოების ადგილზე, შეიძლება გადაადგილებულ იქნენ იმ პირობით, რომ ეს ადგილი შესაბამისობაში იქნება ამ დანართის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ მოთხოვნებთან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს მცენარის პასპორტი.

3. სპეციფიურ მცენარეებს, რომლებიც იმპორტირებულია მავნე ორგანიზმის გავრცელების ადგილიდან, თან უნდა ახლდეს მცენარის პასპორტი, ამ დანართის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

**დემარკირებული ტერიტორიის და მასზე გასატარებელი ზომების დადგენა.
პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საჭირო არ არის ტერიტორიის
დემარკაცია. დემარკირებულ ტერიტორიაზე გასატარებელი ზომები**

ნაწილი I

დემარკირებული ტერიტორიის და მასზე გასატარებელი ზომების დადგენა

1. დემარკირებული ტერიტორია უნდა შედგებოდეს დასნებოვნებული ზონისა და ბუფერული ზონისაგან.

2. ზონების ზუსტი საზღვრების დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ცენტრის ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების სამსახურის მიერ გაკეთებულ სამეცნიერო დასკვნებს, მავნე ორგანიზმის ბიოლოგიას, დასნებოვნების დონეს, დემარკირებულ ტერიტორიაზე მასპინძელი მცენარეების განაწილებას და მავნე ორგანიზმის არსებობის მტკიცებულებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მომზადდება სააგენტოს მიერ დასკვნა იმის შესახებ, რომ მავნე ორგანიზმის ლიკვიდაცია შესაძლებელია, მავნე ორგანიზმის მავნეობის კონკრეტული გამოკვლევის შედეგების ან სალიკვიდაციო ღონისძიებების დაუყოვნებლივი გამოყენების გათვალისწინებით, დასნებოვნებული ზონის საზღვრიდან ბუფერული ზონის რადიუსი შეიძლება შემცირდეს არანაკლებ 1 კმ-ით. იმ შემთხვევაში, როდესაც მავნე ორგანიზმის ლიკვიდაცია მეტად ადარ არის შესაძლებელი, ბუფერული ზონის რადიუსი არ შეიძლება შემცირდეს 2 კმ-ზე ქვემოთ.

3. თუ მავნე ორგანიზმის არსებობა დადასტურებულია დასნებოვნებული ზონის გარეთ, უნდა გადაიხედოს და შესაბამისად შეიცვალოს დასნებოვნებული ზონის და ბუფერული ზონის საზღვრები.

4. დემარკირებულ ტერიტორიაზე დემარკაცია შეიძლება გაუქმდეს თუ სააგენტოს მიერ მასზე ჩატარებული გამოკვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე, მავნე ორგანიზმი არ არის გამოვლენილი, სულ მცირე, ერთი სასიცოცხლო ციკლის და ერთი დამატებითი წლის, მაგრამ ზედიზედ არა ნაკლებ 4 წლის განმავლობაში. მავნე ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლის ზუსტი ხანგრძლივობა განისაზღვრება ტერიტორიის, ან მსგავსი კლიმატური ზონის თაობაზე არსებული მონაცემების გათვალისწინებით.

5. დემარკაცია შეიძლება გაუქმდეს თუ ხანგრძლივი გამოკვლევების შემდგომ დაკმაყოფილებული იქნება ამ დანართის ნაწილი 2-ით დადგენილი პირობები.

ნაწილი II

პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საჭირო არ არის ტერიტორიის დემარკაცია

1. ტერიტორიის დემარკაცია არ არის საჭირო თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) არსებობს მტკიცებულება, რომ მავნე ორგანიზმი შემოტანილია მცენარეებთან ერთად და არსებობს იმის ნიშანი, რომ ეს მცენარეები დასნებოვნებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე შემოტანამდე, ან რომ ეს არის სპეციფიური მცენარის მავნე ორგანიზმით დასნებოვნების ერთეული შემთხვევა და არ არის მოსალოდნელი მავნე ორგანიზმის გავრცელება;

ბ) დადგენილია, რომ მავნე ორგანიზმი არ არის და ამ მავნე ორგანიზმის გავრცელება და გამრავლება შეუძლებელია მისი ბიოლოგიის, კონკრეტული გამოკვლევების შედეგებისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების გამო, რომელიც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს სპეციფიური მცენარეების გამაფრთხილებელ ჭრას და უტილიზაციას, მათ შორის დათვალიერების შემდგომ, მათი ფესვების ამოძირკვას და უტილიზაციას.

2. ტერიტორიის დემარკაცია არ არის საჭირო თუ დაკმაყოფილებულია ამ დანართის პირველი პუნქტით დადგენილი პირობები და მიღებული იქნება შემდეგი ზომები:

ა) დაუყოვნებლივ ჩატარდება მავნე ორგანიზმის სალიკვიდაციო ზომები მისი დაუყოვნებლივი განადგურების და გავრცელების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით;

ბ) ჩატარდება მონიტორინგი იმ პერიოდში, რომელიც მოიცავს მავნე ორგანიზმის სულ მცირე 1 სასიცოცხლო ციკლს და 1 დამატებით წელს, სულ მცირე მომდევნო 4 წლის მანძილზე, დასნებოვნებული მცენარეების ირგვლივ 1 კმ-ის რადიუსში, ან იმ ადგილას სადაც მავნე ორგანიზმი იქნა ნაპოვნი. სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში მონიტორინგი უნდა ჩატარდეს რეგულარულად და ინტენსიურად;

გ) ნებისმიერი დასნებოვნებული მასალის განადგურება;

დ) თუკი შესაძლებელია დასნებოვნების წარმოშობის და დასნებოვნებული მცენარეების მიკვლევადობა, რომლებიც დაკავშირებული არიან დასნებოვნების

შემთხვევასთან, და დასნებოვნების ნებისმიერი ნიშნის გამოკვლევა. გამოკვლევა უნდა შეიცავდეს დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღებას;

ე) აქტივობები მავნე ორგანიზმის მავნეობით გამოწვეული საფრთხეების თაობაზე მოსახლეობის ცნობიერების დონის ასამაღლებლად;

ვ) საერთაშორისო სტანდარტებით (ISPM 9; ISPM 14) დადგენილი ნებისმიერი სხვა ზომები, რომლებითაც შეიძლება მავნე ორგანიზმის ლიკვიდაცია.

ნაწილი III

დემარკირებულ ტერიტორიაზე გასატარებელი ზომები

1. დემარკირებულ ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმის ლიკვიდაციის მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი ზომები:

ა) მავნე ორგანიზმით დასნებოვნებული ან მისი სიმპტომების მქონე მცენარეების დაუყოვნებლივ გაჩეხვა და მათი ფესვების სრულად ამოძირკვა; თუ დასნებოვნებული მცენარეები ნაპოვნი იქნება მავნე ორგანიზმის გამოფრენის პერიოდის შემდგომ, მათი გაჩეხვა და ტერიტორიიდან გატანა უნდა განხორციელდეს მავნე ორგანიზმის მომდევნო ფრენის პერიოდის დაწყებამდე; გამონაკლის შემთხვევაში, თუ სააგენტო ჩათვლის, რომ ასეთი გაჩეხვა მიუღებელია, მიღებული უნდა იქნეს მავნე ორგანიზმის ალტერნატიული სალიკვიდაციო ზომები;

ბ) 100 მ-ის რადიუსში, დასნებოვნებული მცენარეების გარშემო ყველა სპეციფიური მცენარის გაჩეხვა და მათი შემოწმება მავნე ორგანიზმის არსებობაზე. თუ სააგენტო დაასკვნის, რომ ასეთი გაჩეხვა არ შეიძლება, ამ რადიუსის ფარგლებში წარმოებს ყველა იმ მითითებული მცენარის ინდივიდუალური, დეტალური გამოკვლევა, რომლებიც არ ექვემდებარებიან გაჩეხვას და საჭიროების შემთხვევაში, ტარდება ამ მცენარეთა მავნე ორგანიზმის ნებისმიერი შესაძლო გავრცელების აღკვეთის ზომები;

გ) გაჩეხილი მცენარეებისა და მათი ფესვების გატანა, შემოწმება და უტილიზაცია ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად. მავნე ორგანიზმის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, მოჭრამდე და მოჭრის შემდგომ უსაფრთხოების ყველა ზომის გამოყენება;

დ) დემარკირებული ტერიტორიიდან პოტენციურად დასნებოვნებული მასალის ნებისმიერი გადაადგილების თავიდან აცილება;

ე) თუ შესაძლებელია, დასნებოვნების წყაროსა და დასნებოვნებული მცენარეების მიკვლევადობა, დასნებოვნების ნებისმიერი ნიშნის გამოკვლევა, გამოკვლევა უნდა მოიცავდეს მიზანმიმართულ შემოწმებას, დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების ჩათვლით;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, სპეციფიური მცენარეების სხვა მცენარეებით ჩანაცვლება;

ზ) ღია გრუნტში სპეციფიური მცენარეების დარგვის აკრძალვა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ ადგილზე, გარდა წარმოების იმ ადგილებისა, რომლებიც მითითებულია ამ წესის დანართი N3-ში;

თ) მავნე ორგანიზმის არსებობაზე ინტენსიური მონიტორინგი, შესაბამის დროს, მასპინძელი მცენარეების ყოველწლიური ინსპექტირების ჩატარება, ბუფერულ ზონაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, მიზანმიმართული შემოწმება, დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების ჩათვლით;

ი) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები მავნე ორგანიზმით გამოწვეული საფრთხეების და მიღებული ზომების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში მავნე ორგანიზმის შემოტანისა და გავრცელების პრევენციასთან, ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად, დემარკირებული ტერიტორიებიდან მათი გადაადგილების პირობების ჩათვლით;

კ) საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი გართულების თავიდან აცილების მიზნით კონკრეტული ზომების გატარება, რამაც შეძლება ხელი შეუშალოს ყველა დასნებოვნებული ან დასნებოვნებაზე ეჭვის მქონე მცენარეთა ლიკვიდაციას მიუხედავად მათი ადგილმდებრეობის, სახელმწიფო თუ კერძო კუთვნილებისა ან მასზე პასუხისმგებელი პირისა ან ორგანიზაციისა;

ლ) ნებისმიერი სხვა ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მავნე ორგანიზმის ლიკვიდაციისათვის, შესაბამისობაში უნდა იყოს ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

2. როდესაც ამ წესის მე-6 მუხლში მითითებული გამოკვლევის შედეგებმა 4-ზე მეტი წლის განმავლობაში დაადასტურა კონკრეტულ ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმის არსებობა და თუ არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნული მავნე

ორგანიზმის ლიკვიდაცია შეუძლებელია, აღნიშნულ კონკრეტულ ტერიტორიაზე სააგენტოს მიერ უნდა გატარდეს სულ მცირე შემდეგი ზომები:

ა) მავნე ორგანიზმით დასნებოვნებული და დასნებოვნების სიმპტომების მქონე მცენარეები დაუყოვნებლივ უნდა გაიჩეხოს და მათი ფესვები ამოიძირკვოს. გაჩეხვა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში თუ დასნებოვნებული მცენარეები აღმოჩენილი იქნებიან იმ პერიოდში, რომელიც არ ემთხვევა მავნე ორგანიზმის გამრავლების პერიოდს, ასეთი მცენარეები უნდა გაიჩეხოს და ამოიძირკვოს შემდგომი გამრავლების პერიოდის დაწყებამდე. თუ სააგენტოს დასვნის საფუძველზე დადგინდება რომ ასეთი გაჩეხვა უშედეგოა, გამოყენებული უნდა იქნეს სხვა ალტერნატიული ზომა;

ბ) უნდა განხორციელდეს გაჩეხილი მცენარეების და მათი ფესვების ამოძირკვა, შემოწმება და განადგურება; ყველა აუცილებელი ზომების მიღება, რათა თავიდან იქნას აცილებული მავნე ორგანიზმის გავრცელება გაჩეხვამდე და გაჩეხვის შემდეგ;

გ) სადემარკაციო ტერიტორიიდან პოტენციურად დასნებოვნებული მასალის ნებისმიერი გადაადგილების პრევენცია;

დ) საჭიროების შემთხვევაში, სპეციფიური მცენარეების სხვა მცენარეებით ჩანაცვლება;

ე) ამ წესის დანართი N4-ის ნაწილი I-ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული დასნებოვნებული ტერიტორიის ღია გრუნტში ახალი სპეციფიური მცენარეების დარგვა შესაძლებელია აიკრძალოს, გარდა ამ წესის დანართი N3-ის მე-2 პუნქტში მითითებული წარმოების ადგილებისა;

ვ) უნდა მოხდეს სათანადო დროს მავნე ორგანიზმის არსებობაზე მასპინძელი მცენარეების მონტორინგი ყოველწლიური ინსპექტირების გზით, მათ შორის დესტრუქციული მეთოდით ნიმუშის აღების ჩათვლით;

ზ) მავნე ორგანიზმის მავნეობით გამოწვეული საფრთხეების თაობაზე მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში მავნე ორგანიზმის ინტროდუქციასა და გავრცელების პრევენციასთან,

დემარკირებული ტერიტორიიდან მათი გადაადგილების პირობების ჩათვლით, ამ წესის მე-7 მუხლში მითითებული პირობების გათვალისწინებით;

თ) საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რომელიც შეიძლება იყოს მოსალოდნელი სალიკვიდაციო ღონისძიებების ხელის შეშლის, შეფერხების, ან დაყოვნების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, ყველა იმ მცენარეთა ხელმისაწვდომობა და განადგურება, რომლებიც დასნებოვნებულია ან საეჭვოა, რომ დასნებოვნებულია, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობის, საჯარო ან კერძო საკუთრების, ან მათზე პასუხისმგებელი პირისა;

ი) ნებისმიერი სხვა ზომა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მავნე ორგანიზმის შეჩერებას.